


სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 35. აგვისტოს 22, 1893 წ. № 35.

**შინაარსი:**—ჭეშმარიტების მქადაგებელს, ლექსი ი. ივანაშვილისა.—ახალი სკოლა.—წლევანდელი ხოლერობა გ. წერეთლისა.—ფანტაზია, ლექსი კნ. ნ. ორბელიანისა.—კრედიტი და მისი მნიშვნელობა გრ. გველესიანისა.—ძველებური დედის ნანინა ვ. ლვანითელისა.—არჩვ-ხარა გ—ლისა.—გველეშაპი XX.—თაზო მომღერალი ბ. ჯორჯაძისა.—დავრიში დ. ტ—ცისა.—შემთხვევა ა. პერისთავისა.—კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ხომლელისა.—განცხადებანი.

## ჭეშმარიტების მქადაგებელს

ჭეშმარიტების მქადაგებელო!
ნუ ჰკარგავ იმედს ნურას დროშია;
სწიე ულელი დაულალავად,
შენი დიდება მომავალშია.

დღეს თუ ყოველი წყვდიადს მოუცავს,
დროსა და ჟამსა ემონებიან,
მეთაურია მათში საჭირო.
დრო მოვა, თესლნი დამწიფდებიან.

რას ვაქნევ იმ კაცს, თუნდ საკმარისად
ესმოდეს საქმე და აქვნდეს ნიჭი,
თუ იმ დროს ჰკარგავს გრძნობა-გონებას,
როს საჭიროა წადგას წინ ბიჯი.

ზოგჯერ სიჩუმე გმართებს, ვით ბრძენსა,
ზოგჯერ მისდიე შენს მაღალს გრძნობებს;
კვლავ ცეცხლი მოსდე ჩამქრალ ლამპარსა;
და მოიპოვებ ბევრს თანამგრძნობლებს.

სიტყვა იქ უნდა ცეცხლის ამგზნები,
სადაც რომ ერთხელ ცეცხლი ნთებულა
და უვიცობის უკეთურობით
დღეს სულ ჩამქრალა, ჩაფერფლებულა·

სიტყვა იქ უნდა გულის გამგმირი,
სად მცონარეობს გონების ძალა;
სიტყვა მას უნდა გულის დამწველი,
რაც ჟამთა-ბრუნვამ უკუღმა სცვალა.

შენ ერთი კაცი რომ მთელ ქვეყანას
ჰკუა - გონებით ეჭიდებოდე,
დიდება შენდა, თუ სიმართლე გაქვს,
თუნდ ამ საქმეში ილუპებოდე.

ბრძოლა საცავად ჭეშმარიტების,
ბრძოლა საცავად წამებულისა,
ბრძოლა გონებით დიდ-პატარასთან
არის ნაწილი სათნოებისა.

იყავ უმანკო, ვითარცა მტრედი,
და მეცნიერი როგორც რომ გველი!
სამაგიეროს მტერს გადუხდიდე
და შენიანის იყავ მფარველი.

საცა ხედავდე დიდს და პატარას:
ყმასა, თუ ბატონს, ჩაგრულს მტრისაგან,
ან ერთს დაჩაგრულს, მეორეს ამღვარს,
ორივეს შობილს ერთ მიწისაგან,

იქ მოვალე ხარ, რადგან კაცი ხარ,
ის დაჩაგრული კვლავ აღადგინო;
ვადასცე სრული მისი უფლება
და სხვებისთვისაც ეგრე იზრუნო.

ამას იქმოდე, მქადაგებელო,
ნუ უღალატებ შენსა მცნებასა;
მოგიგონებენ სიკვდილსა შემდეგ,
თუმც ახლა ისმენ ბევრსა წყევასა.

თუნდ სწორეთ შენთვის უკულმა ბედმა
ბორბალი თვისი დაატრიალოს;
მწარე სასჯელი სიკეთისათვის
წუთისოფელმა ას-წილ მოგაგოს,

შენ ნუ შედრკები. კვლავ იქადაგე,
ჩაუდგი მცნებას ცხოველი სული;
რაკი კვალს ნახვენ შენის მცნებისას,
ადრე თუ გვიან შესტკივათ გული.

და რაღას იზმენ?... მაშინ ისინიც
სუყველა ერთად გამოგვყვებიან
და დაცემულნიც შენი მცნებითა
ისევე კაცად გადიქმნებიან.

იოსებ ივანაშვილი

## ახალი სკოლა

მასწავლებელ ქალების საზოგადოებას ტფილისში აუსრულდა დიდი ჰმართავს სურვილი და ენკენისთვეში ხსნის პირველ - დაწყებითს სკოლას ქალ-ვაჟებისათვის.

ბევრი სკოლა გახსნილა და კიდევაც გაიხსნება, მაგრამ ასეთი საყურადღებო არ ყოფილა, მეტადრე ქართველისა და სომხის საზოგადოებისაოვის, რადგან ამ სკოლაში ყმაწვილების სწავლა დასაწყისშივე დედაენაზედ იქნება.

ახლანდელ პედაგოგიამ და გამოცდილებამ დაარწმუნა ჩვენი მასწავლებელნი, რომ მხოლოდ დედაენაზედ დაწყებულს სწავლას შეუძლია ბავშის წესიერად განვითარება. ამ ჭეშმარიტებას ჩვენდა საუბედუროდ უმეტესი ნაწილი პედაგოგებისა აქამდის გვერდს უხვევდენ. ამას დაუმატოთ დედ-მამის გულსწრაფობაც, რომელთა ჰგონიათ, რომ შვიდი-რვა წლის ბავში თუ აღარ გაიგონებს თავის დედა-ენას, უფრო მალე მომზადდება გიმნაზიაში შესასვლელათ. რასაკვირველია, კერძო პირს, სვინიდისიანიც რომ იყოს, თუ ფულის შეძენა ჰსურს, უნდა აჰყვეს ყმაწვილების დედ-მამას და იმათ სურვილისამებრ ეცადოს, რომ მათი შვილი დააბინაოს სადმე სასწავლებელში. სანამ თითონ დედ-მამა არ შეიგნებს ამ ძველ ჭეშმარიტებას, რომ მხოლოდ დედა-ენის საშუალებით და არა მის დავიწყებით, შეიძლება მათი შვილის სწავლების ნამდვილ გზაზედ დაყენება, მანამ სწორედ დიდი გაბედულობაა მასწავლებელი ქალების საზოგადოების მხრივ ამ ძნელი საქმის ხელის მოკიდება. მაგრამ ჩვენ არა ერთხელ შეგვინიშნავს, რომ მხნეობით და იდეით გამსჭვალული ყოველი განვითარებული პირი, ვისაც კი ნამდვილად ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამშობლო ენაზე პირველ დაწყებითს სწავლას ყმაწვილის ჭკუა-გონების ალსაზრდელად, დიდი სიამოვნებით მიიღებს ამ ამბავს და აღმოუჩენს სკოლის მთაოსნებელთა თანაგრძნობას და ყოველ-ნაირს დახმარებას.

აი, უფრო ასეთი შემწეობის იმედი ჩვენის სამშობლო ქვეყნის განვითარებულთა და მოღვაწე პირთა გვაბედვინებს ამისთანა მძიმე საქმის დაწყებას.

სკოლა იხსნება ანასტასია წერეთლის სახელობაზე და გამგეთ არის დანიშნული თ. მარ. არღუთაშვილისა. სკოლის სადგომი დაქირავებულია სოლოლაკში, ტერასატუროვის სახლში; სახლის წინ ეზო და ბაღი აქვს და ყველაფრით მოწყობილია, როგორც ამას მოითხოვს ახლანდელი პედაგოგია. ვინც მოისურვებს ყმაწვილების დაბინავებას ტფილისში, თვით სკოლის გამგე პირებს უნდა მიმართონ.

რუსულს ორ განყოფილებაში იქმნებიან მასწავლებლებად—ერთში თ. მარიამ არღუთაშვილის ქალი და მეორეში—უმაღლეს საქალებო სასწავლებელში კურს დასრულებული ქალი ლოპარევისა. ქართულ განყოფილების მასწავლებელი იქმნება ვერა ქართველიშვილის ქალი, ხოლო სომხური განყოფილებისა ტატოსევის ქალი.

## წლევანდელი ხოლერობა

ჩვენ განზრახ არ დავკარით წელს პირველ ხოლერის გაჩენისთანავე დაფი და ნაღარა. ჯერ გვინდოდა დავკვირვებოდით, როგორი მსვლელობა ექნებოდა ამ საშინელს სენს, ან რა დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო შარშანდელსა და წლევანდელს ხოლერას შორის. რადგან წლევანდელმა ხოლერამ საკმაო ხანი დაჰყო ჩვენში, აწ ვეცდებით წა-

რმოვადგინოთ ყოველნაირი თვალსაჩინო და სამეცნიერო მნიშვნელობის საბუთი, რაც წარსული წლიდან აქამომდე ან მეცნიერებაში, ან თვით ჩვენში ავათმყოფობის დროს აღმოჩენილა. წლევანდელი ხოლერა წარსული წლის შედარებით სწორედ ნასუფრალსა ჰგავს. შარშან ხოლერა მეტად სასტიკად მოედვა კავკასიის დაბას, სოფელს და ქალაქებს. წელს სრულებით არა აქვს მას ასეთი ხასიათი. ერთი საკვირველი რამ შევნიშნეთ. სადაც შარშან ხოლერა მძვინვარებდა, წელს იქ უფრო გარილებულია და ზოგგან ერთი შემთხვევაც აღარ ყოფილა. ხოლო სადაც შარშან ნაკლებად იყო, წელსიქ, მაგ. იმერეთის-უფრო სასტიკად არის. შარშან ბაქოში ხოლერამ მუსრი გაავლო, მაშინ როდესაც ტფილის ქალაქში ძალიან ნაკლებად იყო; წელს კი ხოლერა თითქმის ტფილისიდან დაიწყო. შარშან ქართლის სოფლებში ახალ-ციხის მხარეზედ და კავკასიის აღმოსავლეთის მხრის მაზრებში ხოლერით ჟლეტა იყო, წელს კი დაბა და სოფელი კავკასიის აღმოსავლეთმხარეზე დღემდის უზრუნველ ყოფილია და ხოლერის ბაიბურიც არ ისმის. თვით ქალაქში შედარებით წელსაც ნაკლებია პირველი შემთხვევა ხოლერისა, მეცნიერულად დამოწმებული, აღმოჩნდა ტფილისში 28 მკათათვეს. მას აქეთ დღემდის, თითქმის ერთი თვე გავიდა და ჯერ სამოც ხოლერიანს არ გადაცილებია. საშუალო ანგარიშით გამოდის, რომ დღეში, ერთი-მეორეს ზედ-მიყოლით, ორი კაცი გამხდარა ავათ ნამდვილი ხოლერითა. ას ოც-და-ათი ათას მცხოვრებზე დღეში ორი ხოლერიანი ავათმყოფი მეტად ცოტაა და არც ეთქმის, რომ სენი მოდებული იყოს.

მეორე შესანიშნავი ხასიათი წლევანდელ ხოლერისა ის არის, რომ „ისე არა სწვიმს, როგორც ჰქუხს“. თუმცა პირველ შემთხვევასთანავე ჩვენმა დღიურმა გაზეთებმა მორთეს კიჟინა: „არიქა თავს უშველეთ, ხოლერა მოვიდაო“; მაგრამ ხალხი ოდნავაც არ შეშინებულა, არავის აინუნშიაც არ ჩაუგდია. ძალა-უნებურად გვაგონდება მოლლა მასრადინას ამბავი, რომელმაც თურმე პირობა შეკრა ხოლერასთან, რომ ისპაჰანის ქალაქში სამი ათასი კაცის მეტი არ მოეკლა; მაგრამ სამი ათასის მაგიერათ ექვსი ათასი მომკვდარიყო. მოლლა მასრადინამ უსაყვედურა ხოლერას, პირობა რად დაარღვიეო? იმან უპასუხა თურმე: „არა, რჯულის მადლმა, სამი ათასიც არ მომიკლავსო, დანარჩენი სულ შიშით გაწყდაო“. მისი არ იყოს, წელს ხალხი ხოლერას ისე უყურებს, როგორც ყოველ სენს, მისი არ ეშინია, რადგან დარწმუნებულია, რომ მას წამლობა უხერხდება და თუ კაცი სიფრთხილით მოიქცა, ისეთს სასმელ-საჭმელს მოერიდა, რომელიც სტომაკის მავნებელია, რომელიც გულის რევას და სიფაღარათეს ასტეხს ხოლმე—ესე იგი კუჭი ტანმთელად აქვს, იმას ხოლერა ვერას უზამს. ვინც არ თვრება, დამპალს ხილს არ სჭამს, წუმპე მდინარის წყალს არ სვამს და არც შიგ ბანაობს, თავს ზომიერი ცხოვრებით და სუფთად ინახავს, ის ხოლერისაგან თავისუფალია და ფიქრი არა აქვს.

პირველი შემთხვევა ხოლერით ავადმყოფისა აღმოჩნდა ტფილისში რკინის გზის სადგურზედ: გამხდარიყო ავათ მუშა, რომელიც ცუდათ იკვებებოდა, მტკვრის წყალს სვამდა და საშინელ გაუსუფთავებელ რკინის გზის მუშების სადგომებში იდგა, სადაც თითო პაწია ოთახში რვა, ათი და თორმეტი კაცი ცხოვრებდა. კვირა ნახევრის განმავლობაში ყველა ხოლერით ავათმყოფები თითქმის რკინის გზის სადგურიდან მოდიოდა მიხაილოვის საავათმყოფოში. ამ გარემოებამ მიიქცია ქალაქის გამგეობის ყურადღება. მაშინვე გაემართა რკინის გზის სადგურისკენ ქალაქის გამგე და მასთან ერთად ქალაქისა და საგუბერნიო ექიმები, დაათვალიერეს იქაურობა და, აი, რა აღმოჩნდა: მუშების სადგურები ყოფილა რკინის გზის სახელოსნო ქარხნის მახლობლად, სადაც ფეხის-ალაგებია ჩაყოლებული და ამ ფეხის ალაგების მახლობლად გადის მტკვრის ნაკადული, მდინარიდან მილებით გამოყვანილი. შემდეგ ეს მტკვრის წყალი გაივლის ფეხის ალაგების ორმოების მახლობლად ღია რუში, რომელიც მიემართება დიდუბისაკენ და ისევ ჩადის მტკვარში. რკინის გზის მუშებს შემდეგ გახდა ხოლერით ავათ დიდუბის მცხოვრები. შემდეგ სენი გადაწვდა ისეთს ქალაქის კუთხეებს, სადაც მდაბიო შეუძლო ხალხი მტკვრის მახლობლათ ცხოვრებდა და მტკვრის წყალს ხმარობდა, როგორც მაგალითად თაიროვის წისქვილში ხოლერით გამხდარიყო ავად და სხვა. პირველი ხოლერით ავათმყოფები რკინის გზის სადგურზედ ბაქოს მხრიდან მოსული მუშები ყოფილან. აქედან ის ეჭვი აიღეს, რომ ხოლერა წელს ქალაქში შემოტანილია, როგორც წარსულ წელსაო. მეორე,—რაკი ხოლერამ თავი იჩინა რკინის გზის სადგურზედ და პირველს შემდეგ მეორეც და მესამეც გახდა ავათ, იფიქრეს, რომ უეჭველად სადგომებთან თვით ფეხის ალაგებიც მოწამლული უნდა იყოსო ხოლერით და რადგან ეს ფეხის-ალაგები მტკვრიდან გამოყვანილი წყლის რუს მახლობლად მდებარებენ, შეიძლებაო, წყალი ქვენავდეს იმ ფეხის

ადგილებამდის და იქიდან ხოლერის ბაცილები მიწას ქვეშ მჟვენავი წყლით რუში გამოდიოდნო. ამასთანავე ისიც დამტკიცდა, რომ ამ რუს წყალს სასმელად ხმარობდენ. შესაძლებელი იყო ამ რუდან მტკვარშიაც გაჩენილიყოს ხოლერის ბაცილები, და ვინც მტკვრის წყალს სვამდა, იმისგან ხდებოდა ავათო. რაკი ეს გარემოებანი დაწვრილებით შეიგნეს, ქალაქის გამგეობამ და მისმა მკურნალებმა მაშინვე რჩევა მოახდინეს და ამ რჩევაზედ გადასწყვიტეს, რომ სთხოვონ რკინის გზის გამგეობას, მტკვრის წყლის რუ დახურონ, ან რუს კედლები ცემენტით შეჰკრან, რომ იქიდან აღარ იჟვენებოდეს წყალი მიწაში ფეხისადგილებისკენ და მასთანავე აკრძალონ ამ წყლის ხმარება. ხოლო სახმარი წყალი ქალაქის ავჭალის წყლის არხებიდან წაიღონ დ სადგურზედ ავჭალის წყაროს წყალი იხმარონ ყოველ საჭიროებისათვის. ამასთანავე დიდუბისკენ გატანილი ავჭალის წყლის მილი კიდევ უფრო დაუახლოვონ მცხოვრებლებს, რომ იმათაც აღარ იხმარონ მტკვრის წყალიო. თუმცა რკინის გზის გამგეობამ სულ არ დახურა მტკვრიდან გამოყვანილი რუ, მაგრამ მაგიერად აკრძალა ამ რუს წყლის ხმარება. იმითი ახლა მხოლოდ რკინის გზის მაშინებს რეცხენ და სასმელ-სახმარად კი ავჭალის წყალი გაიყვანეს. რაკი დიდუბელებმა და რკინის გზის სადგურის მცხოვრებლებმა მტკვრის წყლის ხმარებას თავი დაანებეს, მას აქეთ არც დიდუბეში და აღარც რკინის გზის სადგურზედ ხოლერით ავათ აღარავინ გამხდარა.

საზოგადოთ მეცნიერებაში უკვე დამტკიცდა ის აზრი, რომ ხოლერის ბაცილები მდინარე წყალშიც იკვებენ თავსო და მრავლდებიანო. საცა კი ამისთანა მდინარის წყალს ხმარობდენ ხოლერობის დროს, ყოველგან შენიშნეს, რომ იმ წყლით ხდებოდენ ავათ, მაგრამ ბაქტეროლოღიამ მაინც ვერ აღმოაჩინა მდინარე წყალში ნამდვილი ხოლერის ბაცილა (კვირტი, ნერგი). ამისგამო აქამდის მეცნიერებს მაინც ეჭვი ჰქონდათ: არის თუ არა მდინარეში ხოლერის ბაცილაო?

ახლა ასეთი იჭვი უკვე გააქარწყლა იმავე მეცნიერმა კოხმა, რომელმაც პირველ აღმოაჩინა ხოლერის ბაცილა (ნერგი). იმან დღეს ახალი გამოკვლევით ცხადად დაამტკიცა, რომ ხოლერა მომეტებულ ნაწილად წყლით ვრცელდება და ყოველ მდინარეს ამ სენის გამრავლებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არის, ჩვენ მივიღეთ ამ წლის მეოც-და-თორმეტე ტომის მეშვიდე ნომერი Revue Scientifique საფრანგეთის სამეცნიერო ჟურნალისა, სადაც დაწვრილებით აწერილია კოხის ახალი გამოკვლევა, შარშან რომ ჰამბურგის ქალაქში დიდი ხოლერობა იყო, იქაურ მდინარის შესახებ. ვეცდებით დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველებს ეს ახალი შესანიშნავი გამოკვლევა.

—

„გერმანიის ქალაქები: ჰამბურგი, ალტონა და ვანდსბეკი ისე ახლო არიან ერთმანეთთან, რომ თითქმის სამივე ერთ ქალაქად ითვლება. ჰამბურგსა და ალტონაში ელბის მდინარიდან არის წყალი მილებით გაყვანილი. ვანდსბეკში კი შორეულ ანკარა ტბიდან არის წყალი შეყვანილი. ჰამბურგი არ წმენდავს ელბის წყალს და ალტონის წყლის მილებს კი საჟვენავები აქვს (ფილტრები) მოწყობილი. იქ მიწის და ქვიშის საჟვენავებში იწმინდება წყალი და შემდეგ გადის მილებში ქალაქის საჭიროებისათვის. წარსულ წელს ჰამბურგში საშინელი ხოლერა იყო. დღეში ორას, სამასი კაცი კვდებოდა ამ სენით, მაშინ როდესაც ალტონაში თითქმის არ იყო ხოლერა. ალტონასა და ჰამბურგს ერთი გზატკეცილი ჰყოფს, სიგანით რვა საჟენია, მეტი არა. ამ გზა-ტკეცილზე მარჯვენით და მარცხნით მცხოვრებლები სახლობენ.

რომელნიც ჰამბურგის მხარეზედ არიან, ისინი სმენ ჰამბურგში გაყვანილს ელბის წყალს და რომელნიც ალტონის მხარეზედ ცხოვრებენ, იმათ შეუდის წყალი ალტონის მილებითა. თუმცა ამ ორის მხრის მცხოვრებლებს მხოლოდ გზა-ტკეცილი ჰყოფთ ერთმანეთში, მაგრამ ხოლერა ერთი მხრიდან მეორე მხარეს არ გადასულა. მაშინ როდესაც ჰამბურგის მხრის მცხოვრებლები ხოლერით იჟლიტებოდენ, ალტონის მხრის მცხოვრებლებში თითქმის ორიც არ გამხდარა ავად ხოლერითა. ამაზედ უფრო შესანიშნავი შემთხვევა კიდევ ის იყო, რომ ჰამბურგის მხარეზე, გზა-ტკეცილს იქით, იდგა ერთი სადგომი, სადაც მუშები ცხოვრებდენ ასობით. ამ სადგომს ალტონის არხიდან ჰქონდა მილებით წყალი გაყვანილი. იქ ერთი მუშაც არ გამხდარა ავათ ხოლერით და მის გარშემომწკრივებულს სადგომებში, რომელშიაც სვამდენ ჰამბურგის არხის წყალს, ხალხი საოცრად იხოცებოდა. ვანდსბეკში, საცა ანკარა ტბის წყალი იყო შორიდან მოყვანილი, შარშან ხოლერით სულ არვინ გამხდარა ავათ. კოხმა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და აღმოაჩინა, რომ ჰამბურგში ხოლერის გაძლიერების მიზეზი ნამდვილათ ელბის მდინარის დაუწმენდელი წყალი ყოფილა. ალტონა გადარჩა მძვინვარე ხოლერას მხოლოდ იმითი, რომ მისი წყალი თუმცა აგრეთვე ელბიდან მი-

ლებით იყო გაყვანილი, მაგრამ სათავეში მიწის საჟვენაებით იწმინდებოდა. ვანდსბეკის ქალაქში თუ არ გაჩნდა ხოლერაო, ამის მიზეზი შორის ტბიდან გამოყვანილი ანკარა წყალი იყოვო, რომელშიაც არავითარი უწმინდურება არ გაიჭაჭანებს, ისეა ეს ტბა და მისი წყალიც დაცული. კიდევ ამაზედ მეტი თვალსაჩინოდ დამტკიცებელი საბუთი ის იყო, რომ ჰამბურგს შედარებით უფრო ზევით, მდინარის სათავისკენ, გამოეყვანა ელბის წყალი, მაშინ როდესაც ალტონას წყლის მილები მომართული ჰქონდა ბევრად უფრო ქვემოთ, სადაც ჩამოივლიდა წუმპე წყალი, რომელსაც რვაასი ათასი ქალაქის მცხოვრების ნაგავი და ყოველნაირი უწმინდურება ედებოდა. მაგრამ ალტონას მაინც არ მიეკარა ხოლერა, რადგან იქ გაყვანილი ელბის წუმპე წყალი, ჯერ მიწის საჟვენაებით (ფილტრებით) იწმინდებოდა და შემდეგ დაწმენდილი ანკარა ელბის წყალი გადიოდა ალტონის ქალაქში მილებითა.

ამ დაკვირვებიდან კოხმა გამოარკვია შემდეგი: 1, ყოველს მდინარეში, საცა ნაგავი და უწმინდურება იყრება, ხოლეროხის დროს ჩნდება ხოლერის ბაცილებიცა; 2, ამისთანა მდინარეავრცელებს ხოლერას. 3, მაგრამ თუ ამისთანა მდინარეს საჟვენაები მეცნიერული წესით აქვს მომართული და ჯერ იქ დაიწმინდება წყალი და მერე მილებით გაიყვანენ ქალაქში, მაშინ ამისთანა დაწმენდილს ანკარა წყალს ხოლერის ბაცილები აღარ ექნება. ყველა ხოლერის ბაცილები დარჩება საჟვენავს მიწაში და ანკარა წყალს აღარ გაჰყვება. 3, რომელს ქალაქსაც წყაროს წყალი შეუდის მილებით და ეს წყარო, ან ტბის წყალი დაცულია, კარგათ შენახულია უწმინდურებისაგან, აქ შეუძლებელია ხოლერის ბაცილამ მოიდგას ფეხი და ხოლერაც იქ აღარ ჩნდება“.

ამას შემდეგ ჩვენის აზრით ისიც საფიქრებელია, რომ ხოლერის ბაცილები ჰაერში არ უნდა მოგზაურობდენ ქარის საშუალებით. ეს რომ ასე ყოფილიყო, ჰამბურგიდან ვანდსბეკში როგორ არ გადევიდოდა ხოლერა. სჩანს, რომ ბაცილები ეკვრებიან მხოლოდ ტანს, სამოსელს და ყოველნაირს ნივთს; აგრეთვე განავლის საშუალებით ჩნდებიან მდინარე წყალში და მითი ვრცელდებიან. აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ ჰაერი არ ყოფილა წამლებ-წამომლები ბაცილებისა; მისი წამლებია უფრო წყალი, საქონელი და კაცი.

გ. წერეთელი

(შემდეგი იქნება)

ფ ა ნ ტ ა ზ ი ა

მიყვარხარ, ვერ მოგშორდები,
ჩემო სამშობლო, ამიერ;
აყვავებულო უებროვ,
იცოცხლე მრავალ ჟამიერ!

შევხარი შენსა შვენებას
თვალს ვერ გაშორებ წამიერ;
ვაი, რომ ამ ცრუ სოფლისგან
დღე არ მაქვს მრავალჟამიერ.

ვინ არის, ვისაც აქვს ცნობა,
არა გწირავდეს გრძნობასა,
ვინ არის, შენით არ ჰპოვებს
სიამით გულის ტკბობასა.

ვის არ უკარგავ გულის ჭირს,
ვის არ უხატავ ტრფობასა.
შენი შვენებით ტყვე-ქმნილი
ეძლევა ნეტარებასა.

მომწონხარ თვით სიკვდილშიაც,
თან მიმაქვს შენი ხატება,
მწვანით მოსილი ბუნება,
რა თვალ-წინ დამეხატება,

ბუნდოვანთ მთანი მაღალნი
მრავალ-შტოვანი ხევები,
ზურმუხტოვანი ველები,
ბუჩქნარნი, ჩირგვნი, ტყეები,

მოჩქრიალენი ალმასებრ
წყარონი, მდინარეები,
წალკოტნი აყვავებულნი,
უზარმაზარი ტყეები.

მიყვარხარ, გეტრფი, მანამდინ
სძგერს გული ამ ჩემს მკერდშია,
მინამ მოვკვდები, ჩამდებენ,
გაყინულს სამარეშია.

აღარვის მოვაგონდები
დაფლული მიწის ხვრელშია;
ფუჭი ცხოვრება განქრება
ფუჭთ მცხოვრებელთა ხელშია.

მაგრამ შენ მაინც იცოცხლე,
სამშობლოვ ჩემო ძლიერო,
ნუ მოგერევა სიკვდილი,
იცოცხლე კვლავ შვენიერო.

შენ მოერიე წყეულსა,
გააქრე, გაანადგურე;
ღრმად გაიმაგრე ფესვები,
უკვდავად დაისადგურე.

1893 წ. კნ. ნინო ორბელიანისა

# კრედიტი და მისი მნიშვნელობა

## ჩვენი ხალხის ეკონომიური მდგომარეობის წარმატებისთვის

Земля одинъ изъ факторовъ производства и основаніе народнаго богатства.

(ეკონომიური აქსიომა)

„Никакое общество не можетъ пользоваться процвѣтаніемъ и быть счастливымъ, если большинство членовъ его бѣдно и несчастно."

ად. სმიტი.

რამდენი ცოცხალი, არსებითი კითხვები წამოაყენა თანამედროვე ცხოვრებამ! ნუ თუ იმათ გამომჟღავნება და გადაწყვეტა არა საჭიროა? ამ კითხვების ასე-თუ-ისე გადაწყვეტაზეა დამოკიდებული კეთილ-დღეობა მრავალ-ათასთა კაცთა. როდესაც ჩვენ ზურგს ვაქცევთ ამ კითხვებს და ვანდობთ მათ დაბოლოვებას ბრმა ბედისწერას, განა ამით დანაშაულს არ ჩავდივართ? ნუ თუ პირდაპირი დანიშნულება არ არის მწერლობისა, სხივი მოჰფინოს ყველა ამ კითხვებს, შეიტანოს შეძლებისამებრ ნათელი გონებისა და მეცნიერებისა? ერთ ამ გვარ საჭირ-ბოროტო კითხვას შეადგენს ის საგანიც, რომელზედაც ჩვენ ამ ჟამად გვსურს ჩამოვაგდოთ საუბარი.

—

როგორც ვიცით, ეკონომიური მეცნიერება არჩევს სამ უმთავრეს წყაროს (ფაქტორს) წარმოებისას: ბუნებას, შრომას და კაპიტალს. ბუნებაში პირველი და შესამჩნევი ადგილი უკავია მიწას. მისი როლი ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში დიად დიდია.

ეკონომიური კეთილდღეობა ერისა იმ ქვეყნებში უფრო მაღლა დგას დ უზრუნველ ყოფილია, სადაც მკვიდრთა უმეტესობა თავის საკუთარ მამულზედ თავისათვის მუშაობს, ვიდრე იქ, სადაც იგი (უმეტესობა) მთელ თავის დროს სხვას ანდომებს, ქირით მუშაობს ე. ი. იქ, სადაც ნაკლებად არიან მიწის მესაკუთრენი. ეს მოვლენა ძლიერ ადვილი გასაგებია. საქმე იმაშია, რომ როდესაც კაცი თავის საკუთარ მამულზედ მუშაობს, მაშინ იგი მისი შემოსავლით სარგებლობს გაუყოფლად. ყოველივე ის ნაწარმოები, რომელიც მოაქვს მის მამულს, სრულად და მთლად მას რჩება, მას მოზიარე არავინ არ ჰყავს. ამასთანავე ამ გვარად წარმოებული შრომა სხვა ყოველგვარ შრომაზედ უფრო ნაყოფიერია. მართლაც, შრომის წარმატებაზედ ისე არაფერს არა აქვს გავლენა, როგორც იმ გარემოებას, რომ კაცი დარწმუნებულია, მისი შრომის შედეგები მას ეკუთვნის და არა სხვას, რომ მან კარგად იცის, რამდენადაც უფრო მხნედ და ენერგიულად იმუშავებს, მით უფრო არგებს თავს, მით უფრო აიწევა მისი კეთილდღეობა. პირიქით, ქირით მუშა, სხვისთვის მშრომელი, სრულიად სხვა მდგომარეობაშია: მისი შრომის ნაყოფით უმთავრესად სარგებლობენ სხვები და თვით მას კი მცირე ნაწილი რჩება.

ამას გარდა სამიწაწყლო საკუთრება (позем. собственность) აბინადრებს მკვიდრთა ერთ ადგილას, აძლევს იმათ შედარებით უზრუნველსა და მშვიდობიანს ყოფა-ცხოვრებას; ათავისუფლებს სხვა-და-სხვა კაცთა და გარემოებათა დამოკიდებულებისაგან, დასასრულ, ისეთი წარმოება არ არის, რომელშიაც მიწა არ ღებულობდეს პირდაპირს თუ არა, შორე მონაწილეობას მაინც და სხვ. ეგეთია მნიშვნელობა მიწისა საზოგადოდ. უფრო მეტი მნიშვნელობა და ფასი აქვს მას იმ ქვეყნებში, რომელნიც უმეტესად მეურნეობას მისდევენ, როგორც არის, მაგ. საქართველოში, სადაც უმთავრესი ძალა და სიმდიდრე მიწა-მამულია. ის აქ არის კაცის მსაზრდოებელი, სხვა-და-სხვა ხარჯების გამძლოლი, მკვიდრი, მუდმივი წყარო ცხოვრებისა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთი სიტყვით, მიწაზედ ამ გვარ ქვეყნებში დამყარებულია ყველაფერი. უმისოდ კაცის არსებობა შეუძლებელი ხდება...

მაშასადამე, თუ ასე დიდ მნიშვნელოვანია ნიწა, იმას უნდა ვეპყრობოდეთ, როგორც მოითხოვს თვით ჩვენი სარგებლობა, ჩვენი ინტერესები ჩვენსავე საკეთილდღეოდ. მას უნდა ვუვლიდეთ, ვანაყოფიერებდეთ, ფეხი მაგრად უნდა გვქონდეს მასზედ დაბჯენილი, რომ როგორმე ხელიდან არ გაგვიცურდეს. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ჩვენში თითქოს წინააღმდეგ მოვლენას ენიშნავთ, თითქოს ჯერ ვერ შეგვიგნია ის დიადი მნიშვნელობა მიწისა, რომელიც ჩვენ დროში დღეზედ უნათლეა სხვებისათვის განვითარებულ ქვეყნებში. რომ დაწვრილებით განვმარტოთ ეს ჩვენი აზრი, უნდა განვიხილოთ, რა ყოფაშია დღეს ჩვენში მიწა და მასთან დაკავშირებული თავად-აზნაურობა და გლეხობა.

—

გლეხების გათავისუფლებამდე ჩვენში, როგორც რუსეთში, მამულის მესაკუთრედ იყო ხაზინა და თავად-აზნაურობა-მებატონეები. გლეხობას კი თავისი საკუთარი მამული ცოტა ჰქონდა; მომეტებულ ნაწილად იმას ეჭირა საბატონო მიწა, რომელიც მის საკუთრებას არ შეადგენდა. ბატონ-ყმობის მოსპობამ ეს წესი შესცვალა. მიწათფლობელობას წინანდელი წოდებრივი ხასიათი დაეკარგა. ახლა

გლეხობასაც მიეცა საშუალება გახდეს სრული თავისუფალი მოსაკუთრე მიწისა, როგორც ყოველი სხვა წოდების პირია. თუმცა აქამომდე დიდი მამულის მეპატრონენი ისევ თავად-აზნაურნი არიან, როგორც უფრო მეტი ძალის და შეძლების მქონე წოდება; მაგრამ განთავისუფლდა თუ არა გლეხ-კაცობა და მასთან ერთად მუქთი შრომაც გადავარდა, უწინდელი ბატონი სახტად დარჩა — ყმებიც შემოეცალა და მამულების ნაწილიც ჩაჰოერთვა, რომელიც ნადელში ერგოთ განთავისუფლებულ ყმებს. მეტი გზა არ იყო, ბატონს ახლა თავის თავზედ თვით უნდა ეზრუნა, ახალ საფუძველზედ უნდა დაეყენებინა თავისი მეურნეობა, ახალი გაუმჯობესებული იარაღი შემოეღო და სხვ. ხოლო რადგან მებატონენი თვით შეჩვეულნი არ იყვნენ შრომას, ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ მამულების დასამუშავებლად მიემართათ მოქირავე მუშებისათვის, რომელთ გასასტუმრებლად, რა თქმა უნდა, საჭირო იყო ფული. მარტო ეს საკმარისი იყო, რომ გლეხების განთავისუფლებას შემდეგ მებატონეთათვის კაპიტალის ანუ ფულის მოთხოვნილება გადიდებულიყო. აი, ამ დროიდან დაიწყო ეკონომიურად დაცემა, გალატაკება თავად-აზნაურობისა. ამ დროიდან დაიწყო მან ვალების აღება, მამულების გასყიდვა, დაგირავება... ყოველ ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ თავად-აზნაურობას ცოტ-ცოტა ხელიდან ეცლებოდა და დღესაც ეცლება მიწა-წყალი. ამ დროს ტფილისსა და ქუთაისში სათავად-აზნაურო ბანკებიც დაარსდა. ესენი უბრალო საკრედიტო (სანდო) დაწესებულებათაგან მით განირჩევიან, რომ იმათ მიზნათ აქვთ შემწეობა აღმოუჩინონ მიწათ-მფლობელთა და მიწათ-მოქმედთა კლასს. გარდა ამისა მოგების მესამედ ნაწილზე მეტი შემოსავალი საზოგადო საჭიროებებს ხმარდება.

მაგრამ ამ ბანკებმა თავის დანიშნულება სრულებით ვერ გაამართლეს: ისინი თავად-აზნაურობის უმეტესს ნაწილისათვის მავნე დაწესებულებათ გადაიქცა, ცუდი სამსახური გაუწია მას. ამის მიზეზი გახლავს ის გარემოება, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა აგირავებს მამულს და ნასესხი ფულით გონივრულად და ჯეროვანად ვერ სარგებლობს. დგება სარგებლის შეტანის ვადა, მაგრამ, ფული კი არსაით არის... მოსესხენი იძულებულნი არიან ახალი სესხი აიღონ უფრო მძიმე პირობებით. ასეთი დავალიანება მამულებისა ხშირად თავდება მით, რომ უმეტესს ნაწილს თავად-აზნაურთა მამულები საჯაროთ ეყიდებათ. ამ სახით, საადგილ-მამულო კრედიტი ჩვენ მიწათ-მფლობელთათვის მხოლოდ დროებითი შეღავათია; ეს სისტემა კრედიტისა შემწეობის და დახმარების მაგიერად ძირს უთხრის მიწათ-ფლობელობას და ხელს უწყობს მამულების სხვის ხელში გადასვლას, მობილიზაციას. აქ, რა საკვირველია, ბანკები არ არიან დამნაშავე, არამედ თვით თავად-აზნაურობა, რომელიც, როგორც ზემოდაც ვთქვით, უმნიშვნელოდ ხარჯავს აღებულ სესხებს; თორემ გონიერად მომხძარე მსესხებელთ, ნამდვილ მეურნეებს, ბანკებმა მართლაც კარგი სამსახური გაუწიეს და უწევენ ახლაც მით, რომ საშუალებას აძლევენ იხსნან თავი გაჭირვებულ გარემოებათაგან, გააუკეთესონ თავისი მეურნეობა და მოუმატონ მის შემოსავალს.

ასეა თუ ისე, ჩვენი თავად-აზნაურობის საქმე ახლაც ცუდათ მიმდინარეობს: მას ან ბანკებში ეკარგება მამული, ან ჰყიდის კერძო კაცებს, ან მთავრობას და სხვ.

გრ. გველესიანი

(შემდეგი იქნება)

## ძველებური დედის ნანინა

დრო არს აწი იფხიზლო,
გაახილო თვალია,
სამშობლოს მოხმარება,
შვილო, შენი ვალია.

ის დღე ღმერთმა მომასწროს
გაგეყვანოს კვალია,
რომ შენითა ჰხარობდეს
აწმყო, მომავალია.

ამიტომაც ღმერთსა ვსთხოვ,
გქონდეს მძლავრი მკლავია
სამშობლო გყვარებოდეს—
შევეწირო თავია;

გაიგე, რადღეშია
შენი მხარე და მდელო,
მისთვის გთხოვ, გაიღვიძო
და ხელი მიაშველო.

იცოდე, ჩემო შვილო,
არა არს უსაშველო:
თუ ეცდები, როდისმე
აყვავდება სამშობლო.

არავინ შეგასმინოს
მამულის შეძულება,
ვისაც თავისთავი სძულს,
მას არც სხვა ეყვარება.

კრუხიც კი არ ანებებს,
როს სტაცებს წიწილს ქორი,
და ნუ თუ არ შეგრცხვება,
არ იქმნე კრუხის სწორი.

რა გინდ კარგი საკენკი
ქორმა კრუხს მოუტანოს,
მაინც თვისი წიწილი
მან მას არ გაატანოს.

შენ ადამიანი ხარ,
ქრისტე ღმერთის არსება,
და კრუხმა რომ გაჯობოს,
ნუ თუ აღარ შეგრცხვება.

ჯერ გწამდეს ქრისტე ღმერთი,
მერე შენი ქვეყანა
და შემდეგ კიდევ ისა,
ვინც ქვეყნისთვის ეწვალა.

არ არს მკვდარი, რომელსაც
სტირის მთელი კრებული,
მკვდრად მიცვნია, ვინც ცოცხლად
არის დავიწყებული.

ვ. ღვანკითელი



## არჩვ-ხარა

(orix)

ცხელს აფრიკის უწყლო და მწირს უდაბნოებში, საცა ქარქვეტა რა არის, ისიც ძლიევს იმაგრებს ფესვებს, საცა წყლის ნასახი არ მოიძევა, მთელი ჯოგებია გამრავლებული ამ არჩვ-ხარასი. ის არის ცქვიტი, როგორც არჩვი და საოცარი ფეხ-მარდი; მაგრამ ამასთანავე გიჟმაჟი და დაურიდებელი, როგორც კურო-მოზვერი, თუ გაფიცხდა ან დაკოდილია. ის არის გძელი ტანისა ლიტონი მწვეტიანი რქები აქვს თავზედ ამოსული. მისი რქები სიგძით ნახევარ საჟენს წვერ-მახვილს შუბებს მოაგონებს კაცს. დაკოდილი, ან გაჯავრებული არჩვ-ხარა ზმუის კურო-მოზვერსავით და არაფერს მტერს აღარ შეეპოება. ხშირად მომხდარა, რომ როცა

დედალი არჩვ-ხარა ლომს წაუქცევია, მაშინ კურო არჩვ-ხარას დაულუნავს თავი, გაუმართავს მიწასთან გასწვრივ თავისი გძელი რქები, დაჰტაკებია ლომს, რქებით განუგმირავს და თავის საყვარლის მეუღლის მსხვერპლად შეუწირავს იგი.

არჩვ-ხარას წყურვილი არ ეკიდება. ერთი კვირაც გავა, რომ წყალს არ მიეკარება სასმელად; სძებნის მქისს უდაბნოში სხვა-და-სხვა ლიჭა, ეკლიან ბალახებს და იმითი იკვებება. იქ, სადაც სხვა ცხოველი ვერას იპოვის და თავს ვერ გაიკვებს, არჩვ-ხარა კმაყოფილდება აქა-იქ ნაპოვნი მქისი ბალახითა და არხეინად დადის უწყლო უდაბნოებში. არჩვ-ხარა ჩვენი ჯეირნის მოდგმის პირუტყვია, მხოლოდ მაზედ ბევრად დიდი, ღონიერი და მამაცი. ბუნების მეცნიერი ლიხტენშტეინი მოგვითხრობს ერთს შემთხვევას, რომელიც აქ არის გამოხატული:

„ერთხელ სანადიროდ წავედით აფრიკის უდაბნოში და შორს, ძალიან შორს, დავინახეთ ერთი არჩვ-ხარა, რომელიც ჯაგების მახლობლად ჰძოვდა. ჩვენ დავიწყეთ მიპარება და დავუახლოვდით კიდეც თოფის სროლის მანძილზედ. არჩვ-ხარას რაღაც მოეჩვენა, აიღო თავი და ჰაერს სუნთქვა დაუწყო. ჩვენ მივიმალეთ, ვცდილობდით არ გავნძრეულვიყავით. ამ დროს უშველებელი ვეფხი გამოვარდა ჯაგიდან არჩვ-ხარას დასაცემად, მაგრამ იმან თვალის დახამხამების უმალ დაახვედრა წინ თავის გძელი რქები. ვეფხმა ქმნა ნახტომი; და არჩვ-ხარამ ისე მარდად მოუმარჯვა რქები, რომ ვეფხი ზედ წამოეგო. საშინელი ღრიალის ხმა მოისმა. ფიცხი ნადირი საშიშრად იკლაკნებოდა, ყმუოდა, ახრჭენდა კბილებს, უნდოდა თავი განეთავისუფლებინა რქებისაგან, მაგრამ ამაო იყო ყოველივე. ბოლოს ვეფხი თან-და-თან დასუსტდა და სული განუტევა. არჩვ-ხარამ რაკი იგრძნო, რომ საშიში მტერი მოკვდაო, დაიწყო ძლიერად მიწაზე რქების დაძგერება, სანამ მკვდარი ვეფხი არ მოიშორა. განთავისუფლდა თუ არა მტრის ლეშისაგან, არჩვ-ხარა შეხტა, დაიჭყივლა სიხარულის ნიშნად და გაჰქრა უდაბნოს სივრცეში". გ—ლი.

## გ ვ ე ლ ე შ ა პ ი

### (boa constrictor)

რაც უფრო ვუახლოვდებით ჩრდილოეთიდან სამხრეთის ქვეყნებს, ისე სიცხეც თან-და-თან მატულობს. იქ ზამთარი მოკლეა და ზაფხული გძელი, ბუნებას თან-და-თან უფრო ეტყობა სიმრავალ-გვარე. მცენარესა და ცხოველს ტანით უფრო დიდს, თვისებით უფრო სასტიკს და ძლიერს შეხვდებით ხოლმე. წინააღმდეგ ამისა კაცი უფრო ტანმორჩილია, ბუნებით სუსტი, თითქოს მძლავრის ბუნების ცხოვრებას იგი დაუჩაგრავს; მისი წარმოდგენა და გამოხატულება შეუშინებია, მის ჭკუა-გონებისათვის ბორკილი შეუბამს, მაგალ. ზანგი. იგი გამხდარა უფრო ბუნების მონა და არა მისი მბრძანებელი, ისე როგორც ევროპიელია გრილის ევროპის და ამერიკის ქვეყნებში. მართლაც რომელს კაცს არ შეაძრწუნებს, პირველად რომ ნახავს აფრიკის ლომს, უზარმაზარ სპილოს, ინდოეთის აფთარს (ტიგრს), ანუ უზარ-მაზარს გველს-ვეშაპს (boa constrictor), რომელიც თვისი ძლიერი რკალებით თვალის დახამხამების უმალ ძვალსა და რბილს ერთად გაუსწორებს გინდ ხარს, გინდა ცხენს, გინდ ირემს და მჩვრად გადააქცევს. ზოგი ამისთანა გველი სამხრეთ ამერიკაში ათი საჟენი მეტი იზრდება სიგრძით და კარგა მოზრდილს ირემსაც შთანთქავს. იმას უყვარს მდინარის მახლობლა გადარაჯვება, ხეებზე ჩამოკიდება ვაზივით, რადგან იცის, რომ რაკა დღის შუაგულს დაცხება, მხეცი და ნადირი წყლის დასალევად გაემგზავრება ხოლმე მდინარისაკენ. ის კუდით მოებმის ხის შტოს ჴ მოეხვევა მის ტანსა. ამ მდგომარეობაში მას ვერ გაარჩევ მსხვილ ყურძნის ვაზისაგან. ის მიმკვდარებულია და ჰგავს სრულებით ხეზე შემოხვეულს მცენარესა, სანამ რომელიმე ტყის ნადირი მის მახლობლად არ გაივლის. იგრძნობს თუ არა რომელსამე ცხოველს, მახლობლად მოსულს წყლის დასალევად, მაშინვე მოსწყდება ხიდან ეს უზარმაზარი არსება, შემოეხვევა ცხოველს რკალებად, დაამტვრევს მის ძვლებს. და გაჰგუდავს, შემდეგ ჩაიდებს ცხოველის თავს პირში ჴ ნელ-ნელა ჰყლაპავს. ამ დროს უხვად გამოდის პირიდან ნერწყვი, რომელიც თან-და-თან ასველებს მსხვერპლის ტანს, რომ ადვილად შთანთქას იგი მუცელში. ერთი ფრანცუზის მეცნიერი, აი, რას მოგვითხრობს: „სამხრეთ ამერიკის ერთს სიცხიანს ქვეყანაში, სახელად გვიანაში, ერთი იქაური ველური ინდიელი წავიდა ტყეში და თან გაიყოლია ძაღლი. მდინარის პირად რომ დაეშვა, ინდიელს მოესმა მწუხარე ყმუილი თავის ძაღლისა. ის გაეშურა წყლის პირად და რა დაინახა მისმა თვალებმა?!—ძაღლს შემოხვეოდა საშინელი გველე-



შაპი და, ის იყო, უნდა გაეგუდა საწყალი ცხოველი, რომ პატრონი არ მისწრებოდა. ინდოელს წელზედ ეკიდა უშველებელი დანა, სამართებელივით გალესილი. თურმე საწყალს ძაღლს მოსწყურებოდა და, როგორც ჩასულიყო წყლის პირად, მაშინვე სცემოდა გველეშაპი. ინდიელი არ დაერიდა საშინელს გველს, მივარდა, გადუსვა წელზედ ბასრი დანა და შუაზე გასწყვიტა. ამ სახით გადაარჩინა მან სიკვდილს საყვარელი ძაღლი. საღამოს ინდიელი მომადგა კარზე და ზურგით მოჰქონდა ორად გადამორილი უშველებელი გველი. მე იმ დროს ვაგროვებდი სხვა-და-სხვა ცხოველების ტყავებს და ჩონჩხებს ბუნების-სამეცნიერო მუზეუმისათვის. დიდი სიამოვნებით ვიყიდე მისგან ეს გველეშაპი. უნდა გეყურებინათ, საწყალი ძაღლი, სიკვდილს გადარჩენილი, რა ყეფით და ხტომით შეჰხაროდა თავის პატრონს.

XX.

## თაზო მომღერალი

(დასასრული *)

როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილი ჯარით ქიზიყს მობრძანდა და შეიქნა შემაძრწუნებელი სისხლის ღვრა, ქართველი ქართველსვე უწყალოდ მუსრს ავლებდა, მაშინ თუმცა რამდენჯერმე გააქციეს-გამოაქციეს ერთმანერთი; მაგრამ რუსის ჯარის სიმრავლესთან იმათ ველარა გააწყვესრა, ბატონიშვილის ჯარი დაამარცხეს და ბატონიშვილიც გაიქცა. იმის მხლებელი თავად-აზნაური კი დაიჭირეს რუსებმა და ანანურის ციხეში შერეკეს...

თაზოს ისე თავის დაპატიმრება არ აწუხებდა, როგორც ის, რომ მინადორას ნახვა დამიგვიანდებაო. ამათი დაჭერის ამბავი, მანუჩარმა რომ გაიგო, სიხარულისაგან ფრთები შაესხა და თქვა: – აბა, ახლა გაქვს დრო თაზოზედ ჯავრის ამოყრისაო. დაიწყო სიარული, ჩაეიდა მთავარმართებელთან და მოახსენა:—თქვენო დიდებულებავ! თუ გნებავთ, რომ საქართველოში მშვიდობიანობა ჩამოვარდეს, ის თავად-აზნაურნი, რომელიც დაგიპატიმრებიათ, აღარ გამოაშვებინოთ, რადგან ისინი არიან ჯანღის თავნი და ქვყნის ამრევნი. მთავარმართებელმა უპასუხა: „მე მეგონა როგორც სხვა თავადი-შვილები მთხოვდენ, გაათავისუფლეთ, ეგენი ერთგულნი ხალხნი არიან თავიანთ მეფისა და ქვეყნისა, სხვა რა დანაშაულობა მიუძღვითო?“ და როგორც ეხლა თქვენ მარწმუნებთ, თუ მაგრე არის და ახლა მე ვიცი... მინადორამ როდესაც ეს ამბავი გაიგო, შევიდა ბაღჩაში, სადაც თაზო და ეს შეხვდენ ერთმანეთსა, იმ ბუჩქის ძირში დაჯდა და მდუღარეს ცრემლით ილეროდა და გუნებაში ამბობდა: „რადგან თაზოს მიზეზი მე შევიქენ, ჩემს თავსაც აღარას ვაკეთილებ.

*) იხ. „კვალის“ № 34.

თუ ის პატიმრობას გამოივლის, მეც თვალით ცისიერს აღარ დავინახავ, მაგრამ ამით საცოდავს იმის საბრალო მშობელს განკითხვის დღეს რა პასუხი უნდა მივცე?“ ამ მოთქმასა და ტირილში რომ იყო, იმედისეული თავს წამოადგა და განცვიფრებულმა უთხრა:—ქალო, რა არის ეგ შენი ყოფა, ტირილით რაზედ დაოსებულხარ? „ეჰ, იმედო! რატომ არ გიკვირს, რომ ან კი თავს არ ვიკლავ? მე დავღუპე იმისთანა ყმაწვილი კაცი...“ —რაუყოთ მერე? სულ ხომ იქ არ ეჯდებათ, გამოუშვებენ. „ჩემო იმედო, არ იქნება, ერთი ისეთი მიშოვნო ვინმე, რომ იმ ციხეში თაზოს ჩემი წიგნი როგორმე მიუტანოს? გეფიცები, ჩემ ძვირფას ჯვარს მივცემ.“—რატომ არა, აი, თითონ ჩემ სიძეს გავგზავნი. „აბა, მაშ მიშველე.“ იმედისეულმა მოფარებით საწერ-კალამი გამოურბევინა, მინადორამ დაწერა და უთხრა: „აი, ჩემი სული და ეს წიგნი.“

მეორე დღეს იმედისეულის სიძე დიდი ცდით ყარაულებმა ანანურის ციხეში შეუშვეს. ამან ეს მოიგონა, ვითომ, თაზოს დედის წიგნი მოჰქონდა და იკითხა თაზო რომელი არისო.—მე ვარო, უპასუხა, და წიგნი მაშინ მიჰსცა. გახსნა და რომ დახედა, ხელი იცნო, ვისიც იყო, კითხვაში გული ამოუჯდა და ტუჩებმა სულ ცახ-ცახი დაუწყო, მეტადრე მაშინ, როდესაც ეს ამოიკითხა: „მანდ რომ ოცი წელიწადი დაჰყო, მე მაინც ისევ შენ გელი და შენი ვარო...“ თაზო ყარაულს შეეხვეწა, პასუხის მიწერის ნება მომეციო, დაიყოლია და ეს წიგნი მისწერა:—გულით და სულით საყვარელო! მე შენთან საუკუნოდ სიამოვნებისათვის ვზრუნავდი, მაგრამ ხედავ უბედურობას, მე საწყალი შენი შეყრის მომლოდინე აქ ჩამაბეს. ვგდივარ ტანჯული და გულ-დაწყვეტილი, მაგრამ სულით მაინც არ დავცემულვარ, მიყვარხარ იმავ გულით და გრძნობით, იმავ შემსჭვალული სიყვარულით, ყოველ წამს შენ მიდგეხარ თვალწინ, შენ ჩრდილს ვცემ თაყვანს და მით ვცოცხალვარ, ვმაგრობ, არ მოვკვდე შენი სურვილით გაუმაძღარი, შენც გაუფთხილდი შენს მშვენიერს თავსა. რომ გაათავა, ძისცა ამ კაცს და შეეხვეწა, სიფთხილით მიართვიო...

დღე და დღე დრო მირბოდა და ამათ ამ ციხეში რამდენი მწუხარება გამოიარეს, ენით არ ითქმის და ვინც კი ამათთან შევიდოდა, ეხვეწებოდენ, დასახოცი ვართ, დაგვხოცეთ, თუ არა და გაგვიშვით, აქ ასე უწყალოდ რაზედ მტანჯავთო; მაგრამ ვინ იყო ამათი შემბრალებელი... იმისთანა თვე არ გავიდოდა, რომ მინადორას თაზოსათვის წიგნი არ მიეწერა და თაზოს ანბავი არ გაეგო. რამდენსამე ხანს უკან თაზო, აი, კიდევ რასა ჰსწერდა მინადორას: „საყვარელო! ეს თავად-აზნაურობა ჯერ უცდის მთავრობიდან რა განკარგულება იქნება და თუ კანონი უსამართლოთ დაგვჰსჯის და გამოშვება არ გვეღირსება, მაშინ კი ვიცი, მოვკვდები შენ დაუტირლად და მიწა არ დამეყრება და გავხდები ყვავ ყორნის საჯიჯგნათ...“

ბოლოს იმედ გადაწყვეტილებმა ამ ციხეში ერთმან-ერთს უთხრეს: „ჩავლპით! აი, მეშვიდე აღდგომა გვითენდება, რაც აქა ვსხედვართ და თუ არა ვიფიქრეთ რა, ჩვენი გამომყვანი აღარავინ არის.“ რა ვქნათ და რა ვუყოთ? აიღ-დაიღეს და გადასწყვიტეს: მოდი აგერ აიმ ფანჯარაში ავცოცდეთ. მართალია, იქით ძალიან მაღალი მხარეა, მაგრამ რა გაეწყობა?... ამათში ზოგმა ვერ გაბედა და თაზომ, გოშპარ კობიაშვილმა და ქუმსიაშვილმა კი თავები გადასდეს. შუა ღამე რომ შეიქნა, ამ ფანჯარასთან ავიდენ, თითო, თითო გადაეშო და ჩახტა. საცოდავ თაზოს სიმარდით მოშორებით მოუხდა ჩახტომა, სიპ ქვას დაჰკრა თავი და მაშინვე სული განუტევა. გოშპარ კობიაშვილს თეძოში ფეხი ამოვარდა და ქუმსიაშვილს მკლავი ელრძო. ესენი თაზოს სიკვდილზედ დიდათ შეწუხდენ, ქუმსიაშვილმა კობიაშვილი ხელ-დაჭერილი ტყეში შეიყვანა და ისე გადარჩენ. ყარაულებმა მეორე დღეს შეიტყეს, რაც მოხდა და თავიანთ უფროსს აცნობეს...

რაკი თაზოს უბედურობის ხმა ქვეყანას მოეფინა და მინადორამ შეიტყო, წაიშინა თავ-პირში და თქვა: „ახლა კი ჩემ სიცოცხლესაც ბოლო უნდა მოუღო“! მრავალი სატანჯველი მიაყენა თავის თავს და წუთისოფელი ჩაიმწარა. არა ლხინსა და შეყრილობაში მინადორა თვალით აღარავის ჰსჩვენებია და ქმრის შერთვას ხომ ვინლა გაუხსენებდა. შემდგომ იმედისეულს უთხრა: „მე აქ რაღას მოვიცდი, უნდა წავიდე მონასტერში და კაცის მკვლელობის ცოდვა მოვინანო“. ისევ იმედისეულის საშუალებით იმისმა სიძემ ორი ცხენი უქირავა, ერთ ღამეს შესხდენ და მცხეთის მონასტერში გაიპარენ. მინადორა შედგა მონოზნათ და თავის უმანკო სული იქ ჩააბარა.

ეს ანბავი თითონ იმ მოხუცებული გოშპარ კობიაშვილისაგან მაქვს ჩემ ყმაწვილობაში ნაანბობი.

ბარბარე ჯორჯაძისა.

## დ ა ვ რ ი შ ი

რაფფი *)

(სომხურიდან)

სპარსეთის გონივრულ ცხოვრებაში დავრიშებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. იმათ უწოდებენ ფაკირებს, დალანდარებს, რომელნიც ნიშნავენ საწყლებს.

დავრიში ძალიან ადვილათ შეგიძლიათ იცნოთ გარეშე სახითაც. შენ ხედავ გაუკრეჭელ თმიან კაცს, რომელსაც სქელი თმები შეკრული აქვს ან შავი ძაფით, ან თავზე ჩამოფხატული აქვს ნაკერი კვარახჭინი და ზედ სხვა-და-სხვა შელოცვები აწერია; იმას აცვია მხოლოდ ერთი თეთრი გძელი მიტკლის პერანგი და უჩანს ტიტველი წვივები; წელზედ არტყია თილისმური ასოებით ნაწერი განიერი სარტყელი; წამოსხმული აქვს ვეფხისა, ანუ ლომის ტყავი და ტიტველა მკლავზედ ჩამოკიდებული აქვს ინდოეთის კაკლის ხოკერი—**ქაშკული**—საკერძე ჭურჭელი; ხელში უჭირავს დიდი ბამბუკის კეტი და გვერდზედ ჰკიდია რქის დუდუკი (ნაფირი). **)




დავრიში

სპარსეთის ყოველ ქალაქებში თქვენ შეგხვდებათ ამგვარი კაცები, წელზემოთ ტიტველები, მხოლოდ წელქვემოდ ფეხებამდე ჩარსავი ახვევიათ. ისინი არიან დავრიშები.

დავრიში ყოველი კაცის მეგობარია. შეგხვდებათ თუ არა, იმ წამსვე ხელს მიიტანს შუბლზედ და გეტყვის: „ეი - ვულლაჰ“ ანუ „ეი-ჰუ-ჰაკ“.

ხშირად შეხვდები მას, როდესაც იგი ჩარსავში გამოხვეული მძიმე ნაბიჯით მიდის ქუჩაში. იგი მღერის ან ჰაფისისა, ან მასნავის ლექსებს, ანუ ამირულ-მომნის სასწაულებზე. იგი პოეტია, იგი მღერის სიყვარულს. მისი ტკბილი ღიღინი გამოისმის ჩარსავის ქვეშეთიდან.

მედუქნეებს უყვართ თავიანთი მომღერალი და უყრიან შავ ფულს **ქაშკულში**.

დავრიში, როცა თავის ვალს (დოვრანს) გადიხდის, შემდეგ გამოდის ბაზრიდან და იტოვებს თავისთვის იმოდენს ფულს, რამდენიც მხოლოდ იმ დღეს

*) ეს არის ერთი გამოჩენილი სომხის მწერალთაგანი, რომელმაც არწრუნთან ერთად დაიწყო წერა და 1869 წლიდან 1873 წლამდის დაახლოვებული მეგობარი იყო „დროების“ თანამშრომლებისა. მისი ნაწერები უცხო ენებზედაც არის გადათარგმნილი და ძალიან მოსწონთ. ჯერ კიდევ ახალგაზდა გადაიცვალა. რედ.

**) დავრიში საცა უნდა შევიდეს ფულის სათხოვნელად, თუ არ მისცეს, მაშინათვე აიღებს გვერდზედ ჩამოკიდებულ დუდუკს და ჩაბერავს: ეს არის მისი წყევლა. მთარგ.

დასჭირდება, დანარჩენს ურიგებს საწყლებს. საღამოზედ დავრიში ისევ ისე ღარიბია, როგორც დილით იყო, სრულიად ფული არა აქვს.

დავრიშს არც თავ-შესაფარი მოეძევება, არც მიწაწყალი, არც სახლობა ჰყავს და არც სამშობლო ქვეყანა. იმის სამშობლო მთელი ქვეყანაა, იმისი სახლობა—მთელი ადამიანობაა. იგი სიმღერით დაძრწის ქვეყანაში და მის წინ ყოველგან გაშლილია სუფრა.

ამ ნახევრად ტიტველა მაწანწალებს ღირსეულად იღებენ, თუ ჰაჯიის *) სახლში, თუ ყეენის სასახლეში. ყოველს ადამიანს ჰსურს დავრიშის სიბრძნის გაგონება და მიიწვევენ ხოლმე დაფენილ ხალებზედ. მაგრამ დავრიში განცხრომის მოყვარული არ არის; იმას არ უყვარს მორთული სასახლეები; იგი მხოლოდ ღარიბთა ქოხების დასახედავად დადის; მთელ ღამეს ქუჩებში, ანუ დანგრეულ შენობებში ატარებს. სადაც ღამე მოასწრებს, იქვე დაბინავდება.

დავრიში კომუნისტია. ნოვრუზის დღეობის რამდენიმე თვის წინად, იგი თავის კარავს დადგამს რომლისამე მდიდრის კაცის ეზოში. იგი მდიდარს მოსთხოვს მისს სიმდიდრის ერთ ნაწილს, რომელიც მას საზოგადოების საკუთრებიდან აქვს წაღებული. მდიდარს ნება არა აქვს, რომ თავის ეზოდან დაითხოვოს დავრიში, ვიდრე არ აუსრულებს თხოვნას (თალაბს). გაივლის თუ არა ვინმე თალაბათ დამჯდარის დავრიშების კარვების ახლოს, იმ წამსვე მოაგონდება მას ჭურში მჯდომარე დიოგენი.

დავრიშებში ხელოსნებიც არიან და ცხოვრებენ თავიანთ ხელობით. მათში არიან ექიმებიც, ჩუქურთმის მჭრელნიც, წამლების გამკეთებელნიც, მხატერებიც და გადამწერებიც.

მათში რამდენსამე თავიანთ თავი **ელიქსირისა** და სიბრძნის ქვის პოვნისთვის შეუწირავთ: სწვენ ვერცხლის წყალს, გოგირდს, თაგვის შაქარს და სხვა მადნეულობას, ვითომ ოქროს მთების გამოსაჩენად. ისინი ამ სახით მისნობასაც ეწევიან.

სპარსეთის ქალაქებში დავრიშებისთვის ცალკე თავშესაფარებლებია გამართული, რომლებსაც უწოდებენ „**თაქიას**“.

მე გახლდით ქ. შირაზის ერთ თაქიაში (სასტუმროში). თაქია დაკიბული, ღია შენობაა, პატარა ოთხ-კუთხიანი ეზოთი, რომელსაც გარს მრავალი დუქნები არტყია. ამ დუქნებში მოდიან ხოლმე დავრიშები. მე შევედი ერთ ამისთანა დუქანში და იქ მითხრეს, რომ აქ ცხოვრებსო დავრიშების **მურშიდი** (მათი უფროსი), ესე იგი მათი წინამძღვარიო.

იყო ზამთარი. გაიღო თუ არა დუქნის კარები, საშინელი მწარე სუნი მეცა. ასე მეგონა, სადღაც მყრალ საბუნაგოში შევედი. სუნი იყო გამდგარი **ბანგისა**, **აფიონისა** და სხვა დასათრობი ნივთიერების წვევისაგან. ვთხოვე გაეღოთ დუქნის კარი, რომ ჰაერი ცოტათ მაინც გაწმენდილიყო.—სტუმარს ყოველთვის პატივისცემა უნდაო, თქვა ერთმა დავრიშმა და გააღო კარები, თუმცა ძალიან ციოდა.

ისინი ოთხნი იყვენ. მურშიდი იჯდა ვეფხის ტყავზედ, მეორეებს კი ქვეშ ეგოთ ლომისა, გარეული კატისა და სხვა ნადირის ტყავები. მათგანმა ერთმა მითავაზა თავისი ქვეშ-საგები ტყავი; მეც დავჯექი.

ეს დავრიშები სხვა-და-სხვა რჯულისანი და სხვა-და-სხვა სახისანი იყვენ. მურშიდი სპარსელი გახლდათ, შუათანა ხნისა, მაღალი ტანისა, პირხმელი და ბევრის მოგზაურობისა და მზისაგან სახეზე დამწვარი იყო. მისი შავი პირის სახე, შავგვრემანი, ბრიალა თვალები გამოხატავდა ნიჭსა და შიშსა.

ერთიც გახლდათ ხაფშიკი, ახალგაზდა, მხოლოდ თეთრი მიტკლის პერანგის ამხანაგი ეცვა, შავი ვეფხივით გაწოლილიყო ერთ კუთხეში და ღრმად ხვრინავდა. მისი შავი სახე დუქნის სიბნელეში აღარ ჩნდა, მხოლოდ ხან-და-ხან როცა თვალების კილოს გადმოაბრუნებდა და თეთრ კბილებს გამოაჩენდა, ოთახში თითქოს რაღაც გაიელვებდა; მას ამ დროს სახეზე გადურბენდა ღიმილი და კიდეც გაიცინებდა ხოლმე. ეტყობოდა, რომ ეს ახალგაზდა დავრიში, აფიონით დამთვრალი, გართული იყო შვენიერ სიზმრებში.

მეორე იყო ავღანელი, ერთი პატარა ტანის კაცი და უშნო სახისა, გიშრის ხუჭუჭი თმები ესხა და პატარა შავი თვალები ჟელავდა.

მესამე იყო ინდოეთელი; ყვითელი ქარვის ფერი სახე ჰქონდა. მას გძელი რბილი თმები სქლად ეყარა თავ-კისერზე.

დუქნის შუა ადგილას იდგა ნახშირით გაჩაღებული მაყალი და დავრიშები იმ მაყალს გარს შემოსხდომოდენ.

დ. ტერ-და—ცი,

(შემდეგი იქნება)

---

*) იერუსალიმს წამსვლელებს სომხურად უწოდებენ „მაჰტეხს“, ანუ „ჰაჯისს“, მთარგ.

# შემთხვევა

(ვუძღვნი კნ. დარიას)

შავი-მჭვარტლის მგზავსი ბურუსი ჩამოწოლილა ხევებში; ნელი ნიავი ჰქრის და შემოდგომასავს, თითქოს ჰაერი სათოვლედ მომზადებულაო—მზის ბრწყინვალე სხივებს გადაჰფარებია მწუხრის ზეწარი და, ცა, დაღვრემილი ჰირისუფალივით შავად-მოსილი, მცენარეთა გამაცოცხლებელს ცრემლებს აფრქვევს... ბაღჩაში, სახლის წინ, ხელახლად აღმოცენილს ბალახს ერთი ბეწო ნიავის ამოსვლაზე სასიამოვნოდ გააქვს ღელვა და შეყვარებულსავით ეხვევიან ერთმანეთს.

ვდგავარ ოთახის ფანჯარასთან და პოეზიით გატაცებულს შემომაწვა ფიქრი, ფიქრი დიდი ხნით დავიწყებული ერთ შემთხვევის შესახებ. ამ შემთხვევას არავითარი მჭიდრო კავშირი არა აქვს ჩემს ცხოვრებასთან, მაგრამ, რომ მაგონდება ამ ჟამად, ჩუმ სევდას მიბადებს გულში. კაი ხნის ამბავია. მაშინ ჩემ თვალებს სწორი გარკვეული შეხედულობა არა ჰქონდა: ვენდობოდი ყველას, მჯეროდა ყოველივე და სადაც მივიხედ-მოვიხედე:

„მომეჩვენა ია-ვარდი,
და მოკრეფა რომ მინდოდა,
შიგ ჰინჰრებში გადავარდი"!..

მე მაშინ ვიყავი ოცის წლისა. საშინლად მიყვარდა იმ დროს, ზაფხულობით, ვრცელ მანძილზე ცხენით სეირნობა. ბინდდებოდა, როდესაც ს. ქ—ს მივახლოვებულვიყავი; ის იყო, ცხენი მოვატრიალე სახლში დასაბრუნებლად, რომ იქვე, მახლობლად, ერთ ბუჩქის ძირს კვნესა შემომესმა. გზას ქვევით, ხრამში ვილაცა „ამაზონკით" მორთულ ქალს გადავარდნოდა ცხენი, რომელიც ბუჩქებში გაჭედილიყო და მძიმედ აწვა ზევიდან.

მარდათ გადმოვხტი ცხენიდან. ამ სიმარდეს, სწორი გითხრა, ჩემგან არ ველოდი;—მივედი ცხენთან და სიფრთხილით ამოვიყვანე ბუჩქებიდან. ქალი კოჭლობით ამომყვა გზაზედ, რომელიც ფეხის ტკივილს უჩიოდა; ცხენქვეშ მოყოლილი ფეხი ელრძო. მან მადლობა გადამიხადა, -- ამათვალ-ჩამათვალიერა და მითხრა:—გთხოვთ სახლამდის გამაცილოთ; ფეხი ძლიერ მაწუხებს. იძულებულ ვიქმენ აღმესრულებინა თხოვნა უცნობი ქალისა და ცოტა ხანს შემდეგ ქალი შევსვი ისევ ცხენზედ და გავწიეთ სახლისკენ.

— სიფრთხილით უნდა ისეირნოთ ხოლმე... გზები არ ვარგა—გამოველაპარაკე, რადგან ხანგრძლივი სიჩუმე ჩემი მხრით, შესაძლებელი იყო, უზრდელობაში ჩამოერთმია.

— მითომ, გზების ბრალია?

— უსათუოდ!

— გმადლობთ დარიგებისათვის. მე კი ჩემს თავს ვაბრალებდი და ცხენის სიფიცხეს...

რამდენსამე წუთს შემდეგ მივაღწიეთ დანიშნულ ადგილას. შევედით სახლის ეზოში;—ჩამოვხტი ცხენიდან და მივეშველე ქალს... ამ დროს, გამოვიდენ მათი მოსახლენიც,—იწუხეს ქალის ფეხის ტკენა, მაგრამ მიუხედავათ უსიამოვნებისა, გამიცნეს მე და სიამოვნებით მიმიწვიეს სახლში.—რას არ შეესწრება ადამიანი!—გაოცებით იძახდენ მისი დედამამა. შეღამების გამო აღარ გამიშვეს შინ დასაბრუნებლად და იმ ღამეს იქ გავათენე.

თქვენს მტერს ის ძილი, რა ძილიც მე იმ ღამეს მქონდა!.. თვალ-წინ განუშორებლად მედგა ქერა, ხუჭუჭ თმიანი, თვალებ-ჭრელი, თეთრ-ბამბასავით ქალი. ინათლა და მეც ავდექი; ნაცნობი ქალიც ადრე წამომდგარიყო და აღარ უჩიოდა ფეხის ტკივილს.—მოინდომა კიდევ ცხენით სეირნობა და მეც თან გამიყოლა. შუადღემდე ვიარეთ ხან აღმა—და ხან თავდაღმა.

— ძალიან ოხუნჯი კაცი ყოფილხართ,—მითხრა ქალმა:—კმარა, სახლამდე გამაცილეთ და დიდათ გმადლობთ..

მართლა ბევრს ვეხუმრებოდი გზაზე. ნაცნობმა ქალმა, თითქოს ზედმოქმედება იქონია ჩემზე. აღვასრულე მისი თხოვნა და დავბრუნდი სახლში.

—

როგორ მოხდა ჩვენი დამეგობრება, აღარ მახსოვს. მხოლოდ მას შემდეგ ყოველ დღე მტკიცედ ვასრულებდი პირობას და აუცილებლად, საღამ-საღამოთი ვადექი ქალის სახლის კარებს. ვსეირნობდით ყოველ საღამოს და შემდეგ ისევ გავიყრებოდით.

ღმერთო ჩემო, რა დრო იყო! სულყველაფერი ვუამბე ქალს, რაც მენახა, რაც გამეგონა: ისიც თავის მხრივ, მიზიარებდა გულის პასუხს... მისი ამბები სხვა-და-სხვა მონათესავეებზე—მარტივი—შეუნიშნავი იყო; მაგრამ, გრძნობით და შვენებით აღსავსე. ასეთს დროებას ვატარებდით მთელი თვე.

უეცრად შევატყე ჩემს მეგობარს რაღაც სევდა—მორცხვობა. შეხვედრის დროს, სახის სიწითლით მართმევდა ხელს. თვალს, თითქოს მარიდებდა და მასთანავე ოდნავ შემობღვერით—მზვერავდა კიდეც...

რამდენისამე დღის განმავლობაში, სამი-ოთხი დღით ციებ-ცხელებით ავად გავხდი. ამ ჟამად პირველად ვიგრძენ მოწყენა, გულის აღშფოთება—სევდა... უკეთ გახდომის დროს, წაველი დანიშნულ ადგილას და შორიდანვე ვიცანი ჩემი მეგობარი;

— ავტოკდი, უეცარმა მღელვარებამ შემიპყრა მთლად და გული ბუდიდან ამოვარდნას აპირებდა!.. იმანაც შორიდან შემომასწრო თვალი. შევამჩნიე, რომ ჩემსკენ მოდიოდა.

შეხვედრის დროს ორთავე ავწითლდით.

— სად დაიკარგეთ, ა?., არა გრცხვენიათ? რა დაგემართად?.. ხმის კანკალით მომმართა ქალმა.

მე ვუამბე ჩემი ავათმყოფობა, რომლის შემდეგაც ქალმა თანაგრძნობით შემომხედა. უეცრად აღმიტაცა მისგან წრფელად გამოხატულმა თანაგრძნობამ და განმარტებით შევჩივლე მარტოობა, მოწყენა, უპატრონობა და თანაც ობლობა...

—

როდესაც ჩვეულებრივ სასეირნოდ წავედით, მომხიბლავ სიტყვებით ქალი გავიყოლიე დაბურულ ტყემდე, სადაც ერთს მუხის ჩრდილს ქვეშ ჩამოვხტით. იგი ღონე-მიხდილივით წამოწვა მწვანეზე და მე მივაბი ცხენები ბუჩქებზე—და მოვუჯექი გვერდით. სიჩუმეა... ჩაჰკიდა ქალმა თავი და ღრმა ფიქრებში გაერთო. მე მთლად კანკალმა ამიტანა. შორს, კარგა შორს, მოისმოდა მუშების ხმა, მაგრამ თვალი კი ჩვენამდე არავის უწვდებოდა. ვიყავით დაბურულს ტყეში, ჩრდილს ქვეშ, მუხის ფოთლებით უჩინარად დაფარულები. ნელ-ნელა მივუახლოვდი; კანკალით მოვკიდე ხელზე ხელი და მთრთოლვარე ტუჩებით შევეხე მის ბაგეს. ტანში ჟრუანტელმა დამიარა ..

— არ გებრალებით?.. რათა ხართ დაფიქრებული?—ქალი გაჩუმებული იყო. უფრო ახლოს მივიწიე—გიყვარევარ?—კვლავ შევეკითხე.

მის მაცდურათ მოღიმარე სახეს შევატყე თანაგრძნობა და მისი მჴურვალე ტუჩები კოცნით აღვბეჭდე.

რა განუსაზღვრელად გვიყვარდა ერთმანეთი! და ეს სიყვარული „გაჰქრა, წავიდა, სიზმარებ ჩქარა“... ბევრჯელ ვიყავით ერთად; ვუნაწილებდით ჩვენს გულის პასუხს ერთმანეთს, მაგრამ ვგრძნობდით თანვე ჩვენის ღონის სისუსტეს, მიზნის მიუწევლობას და ჩვენ შორის, უზარ-მაზარ კლდის მგზავსად ამოსულს დაბრკოლებას, რომლის მოწყალებით საუკუნოთ ჩვენი შეუღლება—ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა ჩვენთვის.

ყოველ შეხვედრის დროს, წვიმისაგან გაცოცხლებულ მცენარესავე გავიშლებოდით ხოლმე წელში...

დიახ, ბედნიერნი ვიყავით მაშინ! ვსტკბებოდით სიყვარულის პოეზიით აღსავსენი! ვსტკბებოდით მკვდარი გულის გამაცოცხლებელი სიტყვებით,—სიტყვებით, რომლებიც ორთავეს ელექტრონივით გვირბენდენ სულსა და გულში და სიყვარულის იდეალებით აღფრთოვანებულებს უცბად გადაგვაფრენდენ ხოლმე ნეტარების სამოთხეში...

ჩქარი ნაბიჯით მოგვეწია ზამთარი; მთა და ტყე თოვლით შეიმოსა,—გზები შეიკრა. მოგვესპო ცხენით სეირნობაც და დრო ნეტარებისა გაჰქრა!..

გაჰქრა იგი, მაგრამ, პოეზია ჩვენის სიყვარულისა ამ წუთას აღიძრა ჩემს გულში;—ნეტარებით ვიხსენებ იმ უმანკო, უცოდველ შემთხვევას, რომელმაც ახლა, ასე წყნარად, ასე გრძნობით გული ამიტოკა.

ა. ერისთავი.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

**სტეფანე ჭრელაშვილის** რეცენზია დუტუ მეგრელის ლექსებზე.

ვინ იცის, რამდენს გულ-უბრყვილო ქართველს ეწყინება, მაგრამ ამ ჟამად მაინც გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ჩვენი ზოგიერთა პოეტის ნაწერები, ლექსნი თუ მოთხრობანი, ცალიერი და უხეირო მიბაძვაა რუსეთის მწერლებისა. სრულიად უვიცი უნდა იყვეს რუსულის ლიტერატურისა ის ქართველი, რომელიც ამ აზრის თანახმა არ გაგვიხდება. ამ მდგომარე საუკუნემ საქართველოში დაჰბადა მხოლოდ **ორი** თუ **სამი თვით-არსი**, დამოუკიდებელი და **ორიგინალური მგოსანი**, რომელთა პოეტური **ნაწარმოები არის უეჭველი წმინდა ქართული გრძნობა-გონებისა** და **ნიჭის ნაშრომი**.

ჩვენ იმედი გვაქვს, ამ ახლო მომავალში უკანვე დავუბრუნდეთ ამ ჩვენგან გამოთქმულს აზრს, რომელიც აღძრა ჩემში ჩვენი პოეტების ნაწარმოებთა შესწავლამ. ღვთის წინაშე, დროც არის და საჭიროც, ფრიად საჭირო, რომ ჩვენი ლიტერატურა შეისწავლოს და გადაათვალიეროს კაცმა. მაგრამ წინადვე კი კარგად უნდა იცოდეს გადამთვალიერებელმა, რომ ბევრი პოეტი გაიბუტება, წყევა-კრულვასა და მუქარებას წამოისვრის, მშობელის ერის ლიტერატურის ზრუნვაზედაც ხელს აიღებს და ქვეყნის მოღალატედ ჩასთვლის იმ პატიოსანს გადამთვალიერებელსა და მუშასაც. მართალი რომ ვსთქვათ, არც ისე ადვილი და სახუმარო საქმეა, იმ „მწერალთა“ სულისა და გულის გამოაშკარავება და პაწაწკინტელა „ლიტერატორთა“ პაწაწკინტელა თავმოყვარეობის შეურაცხყოფა. ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, რომ იმათი გული და სული ვერ აიტანს ასეთს შეურაცხყოფას და მზეს დაუბნელებენ იგინი თვით გადამთვალიერებელს...

ამ ჟამად კი, ნება მიბოძეთ, თქვენი ყურადღება მივაქციო ერთს მეტის-მეტად უსიამოვნო ამბავს.

ამას წინად მე გახლდით ტფილისში. „კვალის“ რედაქციის წარმომადგენელთ მთხოვეს კრიტიკული შენიშვნა დამეწერა ბ-ნი სილოვანის ლექსთა განსახილველად. ჩემთვის, გატეხილი უნდა მოგახსენოთ, სასურველი არ იყო და არც არის ვისმე უსიამოვნება მივაყენო. და სიმართლით, წმინდით გულითა და სინიდისით დაწერილს კრიტიკულს შენიშვნას ზოგჯერ ადვილად შეუძლია უსიამოვნება მიაყენოს ავტორის თავ-მოყვარეობას, ნამეტურ ჩვენში და ეს იყო მიზეზი, რომ თითქმის უარი ვთქვი. ჰო, მაინცადა მაინც არც უარი იყო, მაგრამ დაახლოვებით ასე გადავეცი აკაკისა და გ. წერეთელს, რომ მე, ვგონებ, სხვა აზრისა ვარ ბ-ნი სილოვანის ლექსთა შესახებ და რედაქცია სხვა აზრისა (იმ ჟამად სილოვანის კარგი ლექსები იბეჭდებოდა „კვალში“

და ჩვენ რეცენზიას შემდეგ კი.... ხელი აილო) და, ვაი, თუ ჩემი წერილი ისეთი გამოდგეს, რომ თქვენ იქ ზოგიერთი წინადადება წაშალოთ და ჩემს აზრს რაიმე ვნება მიეცეს-მეთქი. თუ ასე იქნება, სჯობია, წინადვე გადმომცეთ, თორემ მე ცოტა არ იყვეს, ახირებული კაცი....

— ფიქრი ნუ გაქვთ! წინადვე მიმიხვდა, რისი თქმაც მინდოდა აკაკი და გამაწყვეტინა:—დასწერეთ, ჩვენ გიცნობთ და გენდობით.

ჩვენ ვიყავით იმ დროს „ქართველთა ამხანაგობის სტამბაში," სადაც იბეჭდება „კვალი". იქიდან მე გამოვედი და ამავე „ამხანაგობის" კიოსკისაკენ შევიარე, მოვითხოვე ბ-ნი სილოვანის ლექსები, დავჯექი იქვე გადავათვალიერე, დავსწერე შენიშვნა, რომელიც დაიბეჭდა ექვს ივნისს, „კვალის" მე-23 №-ში.

მას შემდეგ გავიდა ერთი თვე და სწორედ ექვს ივლისს „ივერიის" მე 141 № ში ოდნავ თვალი გადავავლე საბიბლიოგრაფიო წერილს, რომელიც მიბაძვით მოდად შემოსულია ახლა „ივერიას" და, წარმოიდგინეთ, რას წავაწყდი! **ჭრელაშვილს**, დიაღ, ჭრელაშვილს, პირდაპირ უხვად უსარგებლნია ჩემი წერილით, გადმოუღია იქიდან აზრი, დალაგება და მდინარეობა აზრისა, სიტყვებიც, ერთი სიტყვით, მთელი დედა-აზრი, ჩვენი კრეტერიუმი, საზოგადოდ პოეზიაზედ და შექმნილა ავტორი იმ საბიბლიოგრაფიო წერილისა." მაგრამ ესეც არ უკმარებია და ბ-ნ დუტუ მეგრელის „ცრემლების" ვითომ და გასარჩევად, ჩვენი წერილიდან გადაუბეჭდია პირ-წმინდად მთელ-მთელი წინადადებანი სრულიად შეუცვლელად, მხოლოდ იმდენი ხერხი კი უხმარია, რომ ზოგიერთი ჩვენი სიტყვები იქ არ დაუსვამს, სადაც ჩვენა გვქონდა მათთვის აჩენილი ადგილი და სხვაგან ჩაუჩხირავს. აი, თუ გსურთ, თქვენ თვით დასტკბით:

**„კვალი" № 23.**

„აგერ, რამდენი ხანია ქართულს ლიტერატურას თვალს ვადევნებ და რას ვხედავ? იშვიათია ისეთი წელიწადი, რომ ქართულს ენაზე ორი, ან სამი ლექსთა კონა არ დაიბეჭდოს. ბეჭვდენ „ამხანაგობანი", წიგნის მაღაზიისა და სტამბის პატრონები" და სხვ.

„სილოვანს ლექსები ამ რვა წლის განმავლობაში უწერია და დღემდის ისეთი ლექსებიც შეუთხზავს, რომელთაც ეტყობა საკმაო პოეტური ნიჭი"... „თან პოეტს არ ეტყობა წარმატება და ზრდა ნიჭისა და ეს გარემოებაც ყურადღების ღირსია ყოველთვის მწერალის ნიჭის ღირსების დაფასების დროს"... „აქ შემეძლო, რასაკვირველია, მაგალითების მოტანით დამესაბუთებინა ჩემი შედარებით მსჯელობა" და სხვ...

„საქართველოს უპირატესი მგოსნები, რომელთა ლირიკამ სრულიად დაიმორჩილა ჩვენი გული, შესანიშნავი ზედ-მოქმედება იქონიეს ქართველთა საზოგადოებაზედ.... ძლიერი წარმოდგენის მგოსნებს გულის სიღრმემდის სწვდა მძიმე და მწარე ყ ო ფ ა ერისა"...

„ავტორს (სილოვანს) ვერ აქვს ძლიერად და ღრმად გამოხატული თავისი „გულის ნადებთა" გრძნობანი და ამიტომ ხანგრძლივს ზედმოქმედებასა და გავლენას ვერ იქონიებს მკითხველზედ... იგი სუბუქად გაფანტვით, ცალქი ფანტაზიის ფრენით დადის და გრძნობა ისე ეფანტება"...

„ავტორის (სილოვანის) „ცრემლები", რასაკვირველია, არის წრფელის გულიდან წარმონადენი, მაგრამ ეს ცრემლები.... ვერ სწვავენ მწვავის, აღგზნებულის ცეცხლითა გულმკერდს კაცისასა"... „პოეზიის ნაპერწკლები არის სილოვანის ლექსებში, მაგრამ ისინი ხანგრძლივად ვერ ანათებენ და ვერ ათბობენ სულსა და გულსა". .

**„ივერია" № 141.**

„ამ ბოლოს დროს კი სხვანაირ ნიშნებს ვხედავთ შესდგა რამდენიმე საზოგადოება, (ვითომ და გამოცვალა ჩვენი სიტყვა „ამხანაგობანი"), რომელნიც ბეჭვდენ ქართველთა ჭკუის ნაწარმოებს ცალკე წიგნებადა და წიგნაკებად. თითქმის თთვე არ გავა, რომ ახალი წიგნი არ დატრიალდეს ქართველობაში" და სხვ...

„ჩვენ ხელთა გვაქვს უკანასკნელი რვა წლის განმავლობის პოეტური ნამოქმედარი ბ-ნ დუტუ მეგრელისა... რომლის ლექსები სასიამოვნო და სასარგებლო საკითხავად უნდა ჩაითვალოს ჩვენის საზოგადოებისათვის." ნიჭის ღირსების დაფასებისათვის, რასაკვირველია, ჩვენც „რომ გვცოდნოდა კი, აქვს თუ არა სხვა ხასიათის და ღირსების ლექსებიც ჩვენს პოეტს, ძრიელ (ქართულად ითქმის ძლიერ) კარგი იქნებოდა, რადგან შევიძლებდით ლექსთა ურთიერთის შედარებით" და სხვ..

„ჩვენი ავტორი (დ. მეგრელი) არ ეკუთვნის მცირე გუნდს იმ პოეტებისას, რომელნიც თავიანთის კალმით იმორჩილებენ მკითხველის გულსა და სულსა.... ესეც (დ. მ.) დასტირის სამშობლოს ყოფას"...

„ავტორს (დ. მეგრელს) ლექსი ვერ აქვს სუფთად ჩამოსხმული და ისე არ ემორჩილება ენა, როგორც ემორჩილება ნამდვილს პოეტს... საკმარისად არ ემორჩილება ლექსთ-წყობილი ენა (გლახა ჭრელაშვილივით კიდევ იმეორებს), ფანტაზია, ლექსთ-წყობილივე სურათი" და სხვ...

„ავტორის (დ. მეგრელის) „ცრემლები" არ არის ნაყოფი ცბიერებისა, არამედ მართალის გულიდან არის ამონადუღი (უნდა ეთქვა—წრფელის გულიდან წარმონადენი)... მაგრამ მისი ლექსი არ ისვრის ცხოველ-მყოფელს ნაპერწკალს, რომელიც ცეცხლს აჩენდეს თვით მიმკვდარებულს არსებაში და ედებოდეს გულს",..

კმარა! თუ მართებულება ნებას მოგცემთ, თქვენ თვით მიეცით შესაფერი სახელწოდება ასეთს საქციელს და მეც.... სამუდამოდ განმათავისუფლეთ, რომ აღარ ვახსენო ასეთი უმსგავსოება *)

ხომლელი.

სოფ. კარდანახი.

*) აქ ისეთი უმგზავსოება არა არის-რა, როგორც ამტკიცებს ბ-ნი ხომლელი. ეს არის ფონოგრაფიული თვისება ნიჭისა, რომლის მოგონებითაც ედისონმა გაითქვა სახელი. ნაკლულევანება მხოლოდ იმაშია, რომ ბ-ნი ჭრელაშვილის ფონოგრაფია ზედმიწევნით არ იმეორებს სხვის სიტყვებს, როგორც სჩვევია ედისონის ფონოგრაფს. რედ.

**შეცდომის გასწორება:** წერილში კრიტიკა და ბიბლიოგრაფია „კვალის" № 32-ში მე-14 გვერდზედ და მეჩვიდმეტე სტრიქონში ქვევიდან სწერია: „წყალთ-ხმელეთისანი, მაგ. ბაყაყი და თევზნი". უნდა იყოს: წყალთა-ხმელეთისანი, მაგ. ბაყაყი, სალამანდრა და სვვ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.


## პირველ დაწყებითი სასწავლებელი
### ტფილისის საურთიერთო დამხმარებელთა აღმზრდელთა ქალთა საზოგადოებისა

**გაიმართება**

ამ წლის პირველ სექტემბრიდან სოლოლაკში ძველ-ინსტიტუტის ქუჩაზედ, ტერ-ასატუროვის სახლებში (საარტისტო საზოგადოების გვერდით). მოსწავლეთა მოსამზადებელს უმცროსს (სომხურსა და ქართულს) და საშუალო (რუსულს) განყოფილებაში მიიღებენ 20 აგვისტოდან ყოველ დღე დილით 9—12 საათამდის და ნაშუადღევს 5—7 საათამდის.


Дозв. ценз. Тифлисъ, 21 Августа 1893 г. სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა (Типог. Гр. Изд. Т—ва)